

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“

დადგენილება #აგ-0865-20  
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის  
დადების შესახებ

11.06.2020წ.

ქ. თბილისი

**1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):**

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისია;

**2. საქმის განხილვის თარიღი: 2020 წლის 11 ივნისი.**

**3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:**

ჯანსუღ კინწურეიშვილი ჰ/ნ 01024040335 ქ.თბილისი, ბუდაპეშტის მე-2 შესახვევი, N4.

**4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:**

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მიმდინარე წლის 22 მაისს გეგმიური შემოწმების დროს, კუმისის აგარაკების მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩნდა, რომ აბონენტ ლარისა კინწურეიშვილის (აბ.N4910710541) მრიცხველზე N 03246153 დაერთებული იყო არალეგალური სადენი, რომელშიც გადიოდა 31 ამპერი დენი. განხორციელდა მრიცხველიდან არალეგალური სადენის მოხსნა. აღნიშნულ ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N ას008128 სადაც სამართალდამრღვევად მიჩნეულ იქნა ჯანსუღ კინწურეიშვილი ჰ/ნ 01024040335) ჯანსუღ კინწურეიშვილის მიერ განხორციელებული (სამართალდარღვევა) წარმოადგენს პირველ შემთხვევას, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2020 წლის 6 ივნისს ელექტრონულად გამოგზავნილი ინფორმაციით. ჯანსუღ კინწურეიშვილს ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, თუმცა სხდომაზე არ გამოცხადდა. გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებისა თუ სხდომის გადადების თაობაზე სამართალდამრღვევს არანაირი განცხადებით არ მოუმართავს. ამდენად, კომისია უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საკითხზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი; შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია; შეტყობინება. (საქმეში ასევე წარმოდგენილია აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი #A630556 სადაც აღნიშნულია რომ ადგილი ჰქონდა, ელ.ენერჯის დატაცებას) რომელთა მეშვეობითაც დგინდება ჯანსუღ კინწურეიშვილი მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ასკ 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. დაცულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა.

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით; მე-10; 38-ე; 228<sup>2</sup>-ე; 236-ე; 264-ე; 266-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით; 267-ე; 271-ე; 273-ე მუხლებით; სემეკის 12.08.10წ. #14 და 18.09.2008წ. #20 დადგენილებებით; ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 16.09.2009წ. # RU2010009 წესით, 23.05.2019წ. #OR2019028 ბრძანებით და

### და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ჯანსუღ კინწურეიშვილი პ/ნ 01024040335 ცნობილ იქნას ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ა.ს.კ. 96<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი – გაფრთხილების სახით.

(სამართალდამრღვევის ჩამდენი პირის დაახელება)

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15 000 ლარის ოდენობით.  
8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი:

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

6



ნიკო გოგიტიძე  
კომისიის თავმჯდომარე